KA015556042248626

ბრძანება

სსიპ „იუსტიციის სახლის“ მიერ სამოგზაურო დაზღვევის მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად შესაბამისი სადაზღვევო კომპანიის შერჩევის მიზნით ელექტრონული (პირობებიანი) აუქციონის გამოცხადების შესახებ

№2553/ს 12 / ნოემბერი / 2026 წ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის №85 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“, მე-7 მუხლის „დ“ პუნქტებისა და მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“, „კ“ ქვეპუნქტების, სსიპ „იუსტიციის სახლის“ მარკეტინგისა და მომსახურების განვითარების დეპარტამენტის 2026 წლის 11 ნოემბრის № 11950 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული (პირობებიანი) აუქციონი სსიპ „იუსტიციის სახლის“ მიერ სამოგზაურო დაზღვევის მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი სადაზღვევო კომპანიის შერჩევის მიზნით წინამდებარე ბრძანების №1 დანართით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
2. განხორციელდეს სადაზღვევო კომპანიის შერჩევა და ელექტრონული აუქციონის შესახებ საჭირო ინფორმაციის გამოქვეყნება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდის (www.eauction.ge) საშუალებით.
3. განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა 4 (ოთხი) კალენდარული დღით.
4. განისაზღვროს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობა 12 000 (თორმეტი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 7 (შვიდი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს აუქციონში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
5. განისაზღვროს ელექტრონულ აუქციონზე ვაჭრობის საწყისი თანხა 0.80 (ოთხმოცი თეთრი) ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა – 0.05 (ხუთი თეთრი) ლარით.
6. დადგინდეს იუსტიციის სახლისთვის გადასახდელი საკომისიო თანხის ოდენობა (თითოეული გაყიდული პოლისიდან) აუქციონის მონაწილე სადაზღვევო კომპანიებს შორის ვაჭრობის შედეგად.
7. დაევალოს ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ სადაზღვევო კომპანიას, ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს საერთაშორისო ასისტანს კომპანიასთან გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულება და საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია (მათ შორის, სერვისის აღწერა და სხვა ტექნიკური დეტალები) სერვისის ინტეგრაციის თაობაზე. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სსიპ „იუსტიციის სახლი“ იტოვებს უფლებას, არ გააფორმოს ხელშეკრულება გამარჯვებულ სადაზღვევო კომპანიასთან, შესაბამისად, აუქციონზე განთავსებული საბანკო გარანტიის/ბეს თანხა დაბრუნებას არ დაექვემდებარება.
8. გაფორმდეს სამოგზაურო დაზღვევის მომსახურების ხელშეკრულება ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ კომპანიასთან აუქციონის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
9. განხორციელდეს სსიპ „იუსტიციის სახლის“ მიერ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული სადაზღვევო კომპანიის სამოგზაურო დაზღვევის მომსახურების მიწოდება 2 (ორი) წლის ვადით.
10. გაფორმდეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ურთიერთშეთანხმების აქტი, მხარეთა შორის მომსახურების მიწოდების დაწყების თარიღის განსაზღვრის თაობაზე.
11. დამტკიცდეს პროგრამული შესაძლებლობები წინამდებარე ბრძანების №2 დანართის შესაბამისად.
12. დამტკიცდეს გამარჯვებულ მხარესთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი წინამდებარე ბრძანების №3 დანართის შესაბამისად.
13. დამტკიცდეს შეთანხმება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ წინამდებარე ბრძნების №4 დანართის შესაბამისად.
14.დაევალოს სსიპ „იუსტიციის სახლის“ მარკეტინგისა და მომსახურების განვითარების დეპარტამენტს ელექტრონული აუქციონის შესახებ განაცხადის სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge) განთავსება და აუქციონის მიმდინარეობის მონიტორინგი.
15. აღნიშნული ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ „იუსტიციის სახლის“ მარკეტინგისა და მომსახურების განვითარების დეპარტამენტს.

16. დაევალოს სსიპ ,,იუსტიციის სახლის“ ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
17. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
18. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

სსიპ იუსტიციის სახლის თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ვახტანგ ჟვანია